სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-03 23.01.2023

ბრძანება

სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს უმარლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 45, სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მუხლი 14- მე-6 ნაწილის და მუხლი 38-ე,სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ იურისტის 16 იანვრის ხათუნა მიქაუტაძის 01-05/002 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიმდინარე წლის 24 თებერვალს გაიმართოს სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტუური თვითმმართველობის გამოთვისუფლებულ და დამატებით ადგილებზე წევრების არჩევნები, და მათი უფლებამოსილება განისაზღვროს მოქმედი სუდენტური თვითმმართველობის დარჩენილი ვადით;
2. მწვრთნელთა ფაკულტეტიდან სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 9 სტუდენტით, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდნ 5 სტუდენტით.
3. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველებმა, საარჩევნო კომისიას უნდა მიმართონ მიმდინარე წლის 6 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით (10 დღე) უნივერსიტეტის კანცელარიაში და წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

3.1 განცხადება;

3.2 5 მხარდამჭერ სტუდენტთა სია ხელმოწერებით- ფაკულტეტების მიხედვით, რომელ ფაკულტეტიდანაც იყრის კენჭრს;

3.3 ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

3.4 პირადობის მოწმობის ასლი.

4. დაევალოს 2023 წლის 16 იანვარის N01/01 16.01.2023 ბრძანებით შექმნილ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს აღნიშნული არჩევნების ჩატარება.
5. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ვლადიმერ ბოჟაძეს, საარჩევნო კომისიის მუშაობის პროცესში მხარდაჭერა და შესაბამისი ტექნიკით უზრუნველუოფა.
6. დაევალოს მწვრთნელთა ფაკულტეის დეკანს პროფესორ ტრისტან გულბიანს და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულეტის დეკანს პროფესორ გიორგი ფარულავას აცნობოს სტუდენტებს ფაკულტეტის მიხედვით, არჩევნების თარიღი და პირობები, ასევე არჩევნებშო მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისთვის სავალდებულო პროცედურები.

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია